

# დროშა

შანი ბანსადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ჟურნალს, რუსულს და სხვა ენებზედ. თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს.

ბამონის ქოველ დღე ორშაბათს ბარდა.

წაღკე ნომერი «დროშისა» ღირს 5 კაპეიკი

## რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელახლა-მოწყობა, მიიღება თბილისში «დროშის» რედაქციაში, ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცნოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, въ редакцію «Дрошба»

«დროშის» ფასა

თბილისს წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან. ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.

დღესასწაულის ბამონ, ხვალ ბაზეთი არ ბამონა.

**27 სექტემბრიდან «დროშის» რედაქცია გადავიდა ახალს სადგურში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკ. გიმნაზიის უკან.**

## ტელეგრაფი

(«ჩრდილოეთის საავტოგრაფი».)

29 სექტემბერს.

კოპენჰაგენი. გემი «დიმბა», რომელიც პოლიარულ ექსპედიციაში ერთა და დადუკული ეგონათ, ნორვეგიის ნავთ-სადგურში ვარდომი მოვიდა.

პეტი. ვენგერიის სეიმის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო მინისტრი-პრეზიდენტისაგან წარდგენილი რეზოლიუცია, რომლითაც მმართველობას უფლება ეძლევა ჩამოხსნას ახალი ოქციონალური ნიშნები და სადაც საჭიროება მოითხოვს, დადგას იგი-ნი უხედა-წარწეროდ.

მენა. აქ მიიღეს პორტისაგან დამტკიცებული კონვენცია შესახებ

რკინის გზების შეერთებისა; ავსტრია თავის მხრივ დაამტკიცებს ამ კონვენციას მაშინვე, როდესაც სერბიასა და ბულგარიასაგან დოკუმენტებს მიიღებს.

თბილისი, 30 სექტემბერს.

ბუშინ «დროშაში» მოხსენებული იყო, რომ ხმები ისმის—ჩვენში არცის გამოხდის ბაჟი მოისპობა და მხოლოდ იმ შემთხვევისათვის დარჩება, როდესაც გამოხდენილი ამ სასმელის გაყიდვას მოინდომებენო. იქნება ეს ხმები ტყუილიც იყოს, მაგრამ სასიამოვნო ხმას ხანდისხან ტყუილსაც აღვიღად იჯერებ, და რომ ეს ამბავი ფრიად სასიამოვნო იქნება ყველასათვის, ვისაც კი ჩვენის ქვეყნისათვის გული შესტკივა, ეს საეჭვო არ არის.

შინ მოსთვლის, რა აუარებელი ზარალი მოუტანა ჩვენს ხალხს ამ ჩვენის ქვეყნისათვის შეუფერებელმა გადასახადმა! თუ როდისმე ეჭირვებოდა ჩვენს ქვეყანას «განსწავებულ გარემოებათ» დაკვირვება და მის შესაფერად ცვლილებათა შემოღება, სწორედ მაშინ ეჭირვებოდა, როდესაც ამ გარდასახადს აწესებდენ; მაგრამ ცხოვრებაში ხშირად მოხდება ხოლმე, რომ კაცს რაც არ უნდა, იმას აჩეჩებენ და რაც უნდა, იმას კი ხელიდამ ართმევენ. მხლაც ისე დაგვემართა: რუსეთში შემოღებული წესი

არცის ბაჟის გადახდისა ჩვენში შეუცვლელად გადმონერგდა, მაშინ როდესაც ამ სასმელის გამოხდის წესები სულ სხვა-და-სხვა; იქ ჰხდინა არაყს უზარ-მზარ ზეოდებში, ჩვენში ორსა და სამს თუნგიან საარაყე ქვაბებში; იქ მასალათა ხმარობენ პურსა და ქერსა, ჩვენში ხშირად, ძალიან ხშირად, ჭაჭა-თხლესა; იქ ყველა სოფელს თავის განუშორებელი «კაბაკი» აქვს, ჩვენში კი დუქნებს ათასში ერთგან შეხედებით, და ამკაცრმა კანონმა ჩვენი საარაყე ქვაბები «ზავოდებთ» ჩარიცხა, და უბრალო გლეხებს, რომელნიც ორსა და სამს თუნგს არაყსა ჰხდინა ერთის გოდორის ჭაჭისას, ან ერთი ქვაბი თხლისას, «მეზავოდების» ხარისხი ებოძათ.

ამ გვარმა შეუსაბამო და შეუფერებელმა მოქმედებამ მრავალ გვარი უსამართლობა დაჰბადა, მრავალი ვნება მოუტანა ჩვენს ხალხს: ვინც კი პირ-ნათლად მოინდომა კანონის შესრულება, ის თითქმის სამუდამოდ გამოვსალმა თავისგან გამოხდის ამ ხშირად ფრიად საჭირო სასმელს; მაგრამ, რაღა დავმალოთ, ბევრმა აბუჩად აიგლო ეს განკარგულება და ჰხდის არაყს ყოველთვის, როცა კი დარწმუნებულია, რომ ამ სასმელის სუნი აქციზის მოხელემდე ვერ მიღწევს და სუნით არ მოაგნებინებს.

რა თქმა უნდა, რომ ასე ფარუ-

ლად უკანონობის ჩადენა, ზნეობითად რყენის ხალხსა, რომელსაც ორში ერთი რჩება: ან უნდა გალატაკდეს და მამასისხლად იყიდოს ვაჭრებისაგან სასმელი, ან ყოველ წუთსა სცდილობდეს კანონის წარმოადგენელნი გააცუროს როგორმე და საარაყე ქვაბს ხორცის მოსახარში ქვაბი დაარქვას. სრულებით ხელის აღებას კი ვერაფერს ახერხებს, მეტადრე მთაში, სადაც არაყი აუცილებელს საჭიროებას შეადგენს.

ამ გვარად არაყზედ ბაჟის დაწესებას აი რა მანებელი შედეგი მოსდევს, მეტადრე იმ მხარეს, სადაც ვენახებია. ჰაჭა-თხლის პატრონი თითონ რომ ვერ იყენებს თავის ნაწარმოებს, ან ღორებს აქმევენ, ან მესამედ და მეოთხედ ფასად ჰყიდის რომელსამე ზავოდის პატრონზედ, რადგან სხვა გზა არა აქვს; ამას გარდა რაკი შინ არაყის გამოხდა და წესიერად ხმარება არ შეუძლიან, უნდა დუქანში წავიდეს და იქ, თავის ოჯახობას მოშორებულმა, ლოთობას მიჰყოს ხელი. შეცდომა არ იქნება ეთქვას, რომ არაყზედ გარდასახადმა შექმნა ჩვენში ბლომად დუქნები თავიანთ აუცილებელ მანეზედ-გავლენით იქ, სადაც უწინ არ იყო.

თუ იმედი არ გავიცრუვდა და ახალმა კანონმა ეს მანებელი გადასახადი აგვაცილა თავიდან, მაშინ ყოველივე ის შედეგი, რაც ზემოთ

## «დროშის» ტელეგრაფი, 1 ოქტომბ.

### ბიბლიოგრაფია.

Первый шагъ въ изученіи русскаго языка для начальныхъ грузинскихъ школъ, составилъ Агніашвили.

ჩვენს მკითხველებს აღვუთქვით დაწერილებით მოგველაპარაკა ხსენებულ წიგნზედ; მაგრამ როცა წიგნი გადავხინჯ-გადმოვხინჯეთ და გავიგეთ მისი ვითარება, იმ აზრზედ დავდექით, რომ იგი ბევრს ლაპარაკად არა ღირს და პატარა ბიბლიოგრაფიული წერილიც მისთვის ბევრია.

წიგნი შესდგება ოთხის განყოფილებისაგან. პირველი განყოფილება უჭირავს ესრეთ წოდებულს ლექსიურ სწავლების მასალას. მესამეა შემადგენელს ლექსიური სწავლა უცხო ენისა საუნჯედ მიაჩნია და ცდილობს სახელმძღვანელოს შეამავლობით საფუძვლიანად მოაკიდებინოს მას ფეხი ჩვენს სკოლებში. მაგრამ ლექსიური სწავლა არც საუნჯეა, არც საჭირო და არც სასარგებლო. იგი ყველგან უარყოფილია, სადაც კი პედაგოგიურად არის მომართული უცხო ენების სწავლება. ჰველგან ჯერედ ასწავლიან

უცხო ენის წერა-კითხვას და შემდეგ იწყობენ თვით ენის შესწავლას ერთის მხრით მასწავლებლის ცოცხალის ენის მუშაველობით და მეორე მხრით წიგნის დახმარებით. მადათუალიერეთ მრავალი სახელმძღვანელონი ევროპიული ენებისა და ვერც ერთში ვერ იპოვნით ლექსიურს განყოფილებასა. ლექსიური სწავლება მოგონებულია მათგან, ვისაც სურდათ, რომ უცხო ენის სწავლება დაეწყობინებინათ, რაც შეიძლება, ადრე და ამითი დაეშლენ ვინებინათ დედა-ენისათვის ფესვები ღრმად გაედგა ბავშვის გონებაში.

მანებელიც რომ არ იყოს ლექსიური სწავლა, მის მასალას მაინც ადგილი არ უნდა ჰქონდეს სახელმძღვანელო წიგნში, რადგანაც იგი დანიშნულია მასწავლებლისათვის და არა მოსწავლეთათვის. ბატ. პლნი-შვილმა ლექსიური მასალა უთუოდ იმიტომ შეიტანა წიგნში, რომ ჰფიქრობდა; ასეთს ჩინებულს მასალას და ასე ლაზათიანად დაწყობილს ძნელად მოახერხებს მასწავლებელი. ნამდვილად კი ძნელია იპოვოს კაცმა იმისთანა უხეირო, წყალ-წალღებული მასწავლებელი, რომელსაც ბევრად უკეთესის მასალის გამოგონება არ შეეძლოს და ბევრად უკეთესი დაწყობა არ ეხერხებოდეს.

ისიც კი ვერ მოუხერხებია შემადგენელსა—ყველა ცალკე დასწავლილი სიტყვები ჭრახვებში გაემეორებინა, რომ ბავშვებს ეს სიტყვები არ დაევიწყდეთ დასწავლის უმაღლე. პირველის სამი გაკვეთილიდანვე დაევიწყებია სიტყვები: სკამიკა(?), სახურავი სახლისა, ფეჩი, და მათი ჭაჭანებაც არსად არის ჭრახვებში. თუ საჭირო არ იყო ეს სიტყვები შემდეგის ვარჯიშობისათვის, რად დაასწავლა ბავშვებსა, და თუ დაასწავლა, რად ავიწყებინებს და არ ამეორებინებს.

მართულში იმდენად სუსტი ყოფილა ბ. პლნი-შვილი, რომ პაწაწინა ჭრახვების კანონიერად შედგენაც ვერ მოუხერხებია. ჩვეულებრივ ბრუნებს უკანასკნელი ხმოვანი ასო ა ეკვეთებათ ყოველთვის, როდესაც შემდეგი სიტყვა ხმოვანის ასოთი იწყება; შემდეგელი კი უკუღმა იქცევა. ჰვეთავს ასოს მაშინ, როდესაც შემდეგი სიტყვა უხმო ასოთი იწყება და არჩენს, როდესაც პირველი ასო შემდეგის სიტყვისა ხმოვანია; მაგალითად: იგი სწერს, ემსწავლას აქვს კარანდაში, შენ გაქვს, შენ გყავს და სხვ.

ბ. პლნი-შვილს მართო ლექსიური მასალით როდი გაუბედნიერებია პაწაწა ქართველი; ამ მასალის სიუხვეც

ზედ დაუტანებია. მან პირველსავე წელიწადს უთუოდ უნდა ისწავლოს ასოცი სიტყვა მათის დაკავშირებითა. მაშ, რაკი კაცი ერთგულობის გზას დაადგეს, ბოლომდის უნდა იაროს.

ლექსიურს მასალას საწერი საგარჯიშოებიც მოსდევს, რომელნიც ბერძნის წიგნიდან უსესხნია; მაგრამ ბერძნის წიგნში ამ ვარჯიშობებს აზრი აქვთ, რადგანაც რუსის ხამი ბავშვებისათვის არიან დანიშნულნი და ბ. პლნი-შვილის წიგნისათვის კი ყოველად უაზრონი არიან, რადგანაც ეს წიგნი შედგენილია ქართველი ბავშვებისათვის, რომელნიც გამართულნი არიან ქართულ წერა-კითხვაში. ამ ვარჯიშობებს მიაქცევს რუსულის ენის სახელმძღვანელოში ან მტკნარად გამოუცდელი პირი, ან იმისთანა, რომელსაც სურს შესაძლებელი გახადოს რუსულის წერა-კითხვის შესწავლამდის. ამ სურვილმა წინ-სიტყვაობის ერთს ადგილას ფეჩი უკვე გამოყო. ბ. პლნი-შვილი ურჩევს მასწავლებელს ეს ვარჯიშობანი პირველსავე წელს გაათავებინოს ბავშვებსა. მისაც ყველაზედ მომეტებულიათა სურს რუსულის ენის აღრიანად სწავლება, ისინიც კი მეორე წლის ადრე

ჩამოვთვალეთ, ადვილად მოსასპობია. მაშინ აღარ იქნება ის დუქნების სიმრავლეც, რომელიც ეწა დალსა- ვით აზის ჩვენს ქვეყანას.

თუ სრულიად არ შემოვიდა ეს კანონი, თუ საზოგადოდ არაყის ბა- ვი არ მოისპო, ნაწილობრივ შემო- ღებაც დიდს საფრთხეს ააცილებს ჩვენს ქვეყანას. თუ სულ არა, იმ სასმელის გამოხდა მაინც თავისუფა- ლი უნდა იყოს, რომელსაც მწარ- მოვებელი თავის საკუთარ ოჯახში ხმარობს და ბაზარში გასაყიდად არ გააქვს.

შინაური შრომისა

ახლად გამოსულის აწიშიდა- მა სჩანს, რომ ქართულის თეატრის გამგებლობა უკისრია ისეც ბ. მ. აბა- შიძეს, წარმოდგენები დაიწყება 9-ს ოქტომბერს; აქტიორები და აქტრი- სები ისეც ძველნი დარჩებიან და მათ გარდა ახლად მიწვეულნი არიან: მ. პ. მელიქიშვილისა, მ. ი. ნოშრე- ვანიძისა, ი. ბ. ნოშრე და ი. პ. სა- რიდანძისა. რეპერტუარში, სხვათა შორის, შემდეგი ახალი პიესებია გა- მოცხადებული: წამება მეთევან დე- დოფლისა, ა. მოხსუბარიძისა; სამ- შობლოს გმირნი (დრამა) რ. მ. ალისებნელისა, კარდინალი რიშელიე, დრამა, ნათარგმნი პ. დ. შიფიანისა; უკანონო შვილი, დრამა, ი. პ. სა- რიდანძისა; ვაკრეტილი ქალები, ორიგინალური ოპერეტკა ა. ცაგა- რელისა; პრეჩინსკის ქორწილი, კო- მედია, ნათარგმნი ა. ლულოძისა; მო- ტიკტიკე ჩიტები, ოპერეტკა, ნათარგმ- ნი მ. აბაშიძისა და ვაი ჭკუისაგან, ნათარგმნი წინამძღვრიშვილისა.

შეუძლებლად სცნობენ რუსულის წერა-კითხვის დაწყებასა, ბ. აღნია- შვილს კი უნდა გადააცოცოს პირ- ველს წელში. შეგუებული ერთგულო- ბა რომ გაგიგონიათ, სწორედ ეს არის.

მარჯიშობებს მოსდევს რუსული ანბანი. ეს ანბანი შეუდგენია ისე, როგორცა აქეთ შედგენილი ანბანი ორს რუსის პედაგოგს: ბერბაჩსა და პუციკოვიჩსა. ამათხედ უნიკო და უხვირო პედაგოგები მთელს რუსეთ- ში არ მოიპოვებია. აღნიაშვილს კი ისინი მოსჩვენებია სიბრძნის კოლო- ფებთ და ყოველს ნაბიჯზედ ჰბაძავს. ტყუილად არ ამბობენ რუსები: მე- თევზე მეთევზეს შორიდგან იცნობსო. წარმოიდგინეთ უხვირო რუსული ანბა- ნი, ქართველ ბავშვებისათვის გადმო- ღებული და თქვენ მიხედვით, რა უგუნურობა უნდა იყოს ესა.

ბ. აღნიაშვილს ბლომად ჩაურთავს სურათები ანბანში, მაგრამ ის კი არ მოუფიქრებია, რომ სურათებს დიდი მნიშვნელობა აქეთ დედა-ენის ანბა- ნის შესწავლაში და ყოველს აზრს მოკლებულნი არიან უცხო ენის წე- რა-კითხვის სწავლების დროსა. ბერ- ბაჩს ბეჭდური რუსული ასოები ბა- დეში აქვს ჩასმული სახატაუად; ბ.

ამასთანავე გამოცხადებულია აბო- ნემენტი არა ნაკლებ ექვსის წარმო- დგენისა. აბონემენტზე ფასები დაკ- ლებული იქნება: ლოქებზე დ 1 წყე- ბის კრესლოებზე თითო მანათი, და- ნარჩენ წყების კრესლოებზე ათი შა- ური და სკამებზე ხუთი შაური—თი- თო წარმოდგენაზე. წარმოდგენები იქნება კვირაში ორჯერ: ოთხშაბა- თობით და კვირაობით. აბონემენტის რიცხვში ყოველთვის ახალი პიესა იქნება წარმოდგენილი. ორკესტრი შესდგება ოცის კაცისაგან და მმარ- თველად ეყოლება ბ. ლეკერ-შენკი.

არ იქნება ურიგო, რომ რა- იმე რიგიანი განწყობილება ჩამოვარ- დეს მოჯამაგირებსა და მათ დამტერ- თა შორის, თორემ ხშირად როგორც ერთის მხრივ, ისე მეორეს მხრივ მო- ისმის განუწყვეტელი ჩივილი და უკმა- ყოფილებას უკმაყოფილება მოსდევს. აი ესლაც თვალ-წინ გვიდევს ერთის მოსამსახურის წერილი, რომელიც თხოულობს, რომ პოლიციამ ვალად დასდოს მოჯამაგირის პატრონებს— დავთრები იქონიონ იმის ჩასაწერად, თუ როდის რამდენი მისცა თავის მოჯამაგირეს, ან რაში ახდენინებს ფულს და ჯამაგირში უბრის; თორემ ხშირად მოჯამაგირემ არ იცის რამ- დენი ერგება და, შიშით ვერ გაუ- ბედნა კითხვა, რადგან ხშირად «აღე- ბი» სხვა-და-სხვა დამტერულს ავეჯს უანგარიშებენ და ერთი-სამად და ოთხად ახდენინებენ. რა ჰქნას მოჯა- მაგირემ: თუ უჩივლა, «აღა» ასე ეტყვის: იჩივლე, რა მენაღვლება! პირველ «ზახედანიაზედ» არ დავეს- წრობი, მეორეზედ «ზაოჩნოდ» გა- დასწყევტენ, მესამედ «ოტზუვს» შე- ვიტან და შენ სადა მდევო.

აღნიაშვილს ესეც მოსწონებია და უსესხნია. მაგრამ ეს ვარჯიშობა რუ- სის ბავშვებისათვისაც ყოველად უსარ- გებლოა და ქართველებისათვის ხომ მანებელია. პუციკოვიჩის თავის ან- ბანში ერთი ყოველად უსაფუძლო ვარჯიშობა აქვს მოქცეული: რომე- ლიმე სიტყვის ასოები გადარეულად აქვს დაბეჭდილი, ბავშვმა უნდა გა- დასე-გადმოსვას ეს ასოები იქამდის, ვიდრე ნამდვილს სიტყვას არ მიაგ- ნებს. სწორედ პუციკოვიჩისთანა უნ- და იყოს კაცი, რომ ამ მანებელს ჩხირ-კედელაობას ადგილი მისცეს ანბანში. ღა პუციკოვიჩის მეტს ეს უაზრობა არავის მოსვლია თავში. წარმოიდგინეთ, რომ ბ. აღნიაშვილს ეს პუციკოვიჩის გამოგონება პედა- გოგიურს რადმე მოსჩვენებია და თავისი ანბანი და საკითხავი წიგნი აუესია რუსული სიტყვებით, რომელთა ასოე- ბი გადარეულად არიან დაბეჭდილნი. იგი, მაგალითად, სწერს: ммаа, паап, отч, тко, цищ, онга, ямо, яме, коючт და სხვანი მრავალნი. მარ- თველმა ბავშვმა, რომელმაც ჯერეთ რუსული არ იცის, უნდა თავის თა- ვად შეადგინოს კანონიერი რუსული სიტყვები. თქვენ, მკითხველო, თუ იცით რუსული, აბა სცადეთ ზემოდ

მართლაც, რომ სად შეუძლიან სინილისიან კაცს სდიოს სინილისზედ ხელ-აღებულუმ!

5-ს ოქტომბერს თ. ღონდუ- კოე-პორსაკოვი კიდევ სამეზაეროდ მიბძანდება და ამიტომ მთხოვნელებს მიიღებს სამშაბათს, 4-ს ოქტომბერს. მოგზაურობილად დაბრუნების შემდეგ მთხოვნელების მიღება დანიშნულია კვირაში ორჯერ, სამშაბათობით და შაბათობით, პირველს საათზედ შუა- დღის უკან.

მთავარ-მმართველის კანცელიარის დირექტორი კი მიიღებს ორშაბათო- ბით და ხუთშაბათობით 2 საათიდან 3 საათამდე შუადღის უკან თითონ კანცელიარიაში.

ძვირას, ორს ოქტომბერს, დანიშნულია განათლება ახლად აგე- ბულის შენობის წმ. ნინოს ქალების სასწავლებლისა, რომელზედაც იწვე- ვენ მოსწავლეთა დედ-მამას და ნა- თესავეებს (ძავკა.)

მუთაისის მაზრიდამა გვეწერენ: რიანი შუაზედ ჩამოუღის მუთაისის მაზრას და რა თქმა უნდა რომ, ერ- თის ნაპირიდან მეორეზედ გადასვლა და საქანლის გადატანა ხშირად მო- უხდებათ ხოლმე მცხოვრებლებს. რი- ანის ნაპირებს უფრო მიქელაძეები პატრონობენ და პარომებიც იმათა აქეთ გამართული, მაგრამ არსად გარდასახადი კანონიერად არ არის დანიშნული და ყურადღებასაც მო- კლებულია. მეტადრე სატურისის სა- ნაოზე ისეთი უწყსოებაა, რომ ერთს ურემს სიმინდზე ოცის გირგან- ქის მაგივრად ფუთს ახდენინებენ და დლითი-დღე ჰფიქრობენ კიდევ მომა- ტებასა. ბაჟი კიდევ არაფერი,—დი-

დაბეჭდილ ასოებიდან სიტყვების შედგენა და თქვენც კი გაგი- ძნელდებათ და იგრძნობთ იმ გვარს მენანიკურს სიძნელეს, რომე- ლიც კაცს თავს ერთს წუთს მოაბეზ- რებს. რა უნდა გააწყოს პაწაწა ქარ- თველმა, რომელიც ახლად სწავლობს ენასა ამ სამაგალითო უგუნურებაში და რა თვალთ უნდა შეხედოს ან წიგნს ან მასწავლებელს, რომელნიც ყოველად უსარგებლო ვარჯიშობით აწვალბენ მას.

თითქმის ამ გვარსავე შეცდომას სჩადის შემადგენელი, როდესაც ბეჭ- დაეს ანბანშივე რუსულს სიტყვებსა ასოების გამოტოვებით და ითხოვს ბავშვისაგან—სრული რუსული სი- ტყვები შეადგინონ. ბ. აღნიაშვილს გაუგონია თვით-მდგომარე ვარჯი- შობათა სარგებლობა და იმას კი ვერ მიმხვდარა, თუ რა დროს და რა ვარ- ჯიშობა სასარგებლო და საჭირო. ისიც კი ვერ მოუხერხებია, რომ ან- ბანის ფრაზები შინაარსით მაინც გა- საგები შეედგინა და არ გაემტერე- ბინა ბავშვები ამ გვარი ფრაზებით: въ комнатѣ стоить елка. მარ- თველს ბავშვს მთელს საათსაც რომ ელაპარაკათ, ხეირიანად ვერ მია- ხვედრებთ, რას ნიშნავს елка, რად-

ლას მოსული ურემი უფ სადამოზე გამოვიდა, ისიც დიდ ქაქმეა: ამას გარდა პარომები ისეთი ძველია, რომ ადვილად შეიძლება უბედურე- ბა რამ მოხდეს. არ იქნება ურიგო რომ პარომები დაათვალიერონ და ბაჟიც გადაწყვეტილი დანიშნონ, თო- რემ მეტად შეწყუბდა საწყალი ხალ- ხი.

სოფ. მელისციხიდან გვეწერენ იქაური მამასახლისის შემდეგ საზიზ- ღარ მოქმედებაზედ:

14 სექტემბერს ერთი გლეხი ხელ- ცარიელი მივიდა მასთან რალაც სა- თხოვარისათვის. მამასახლისმა ჯერ უარი უთხრა; გლეხმა რომ თხოვნა რამდენჯერმე გაიმეორა, მამასახლისი იქამდის გამოვიდა მოთმინებდგან, რომ სრულებით დააიწყდა თავისი დანიშნულება და ამ დროს იქ მდგარ სამ გზირსა «ამ მოქმედებისათვის» (?) უბძანა წაექციათ ეს მთხოვნელი. მთხოვნელი დასცეს მიწაზედ და მა- მასახლისმა უბძანა ცემა იმისი, ვიდრე იგი (მამასახლისი) ეტყოდეს თავის დანებებასა. ბზირებმა მიჰყვეს «საქმეს» ხელი და იქამდის სცემეს ჯოხით, ვიდრემე და თქვენ მივემე- ლებოდით, ჩემო მკითხველო!.. რო- გორც იყო ცოცხალ-მკვდარი, ნახ- შირსავით გზირების ჯოხით გაშავე- ბული, ცემისაგან გაანთავისუფლეს და მაგიერ იმისა რომ უშველონ ნა- ცემსა და დაქექილ კაცს, ბ. მამასახ- ლისის ბძანებით ჩააგდეს ერთს ცივს ოთახში და დაუკეტეს მარტოს კა- რები...

მამასახლისმა, რა ნახა რომ მისი ამგვარი მოქმედება წრეს გადასული იყო, მიჰყო ხელი თითონვე აქტის შედგენასა. შეადგინა აქტი, სადაც

განაც ეს მოვლენა სრულიად უცხო ცხოვრებიდან არის ამოღებული.

საზოგადოდ რუსული ანბანი ისეა შედგენილი, რომ ვერც ერთს ენაზედ ვერ იპოვნით მაგ გვარს რასმეს. მაგ ნაირად შეადგენს ანბანს მხოლოდ ის, რომელსაც ან არ ესმის, რა გან- სხვაებაა დედა-ენის და უცხო ენის სწავლების შუა, ან მოწადინებულია რომ პირველის წლიდგანვე გარეგნო- ბით მაინც განადოს შესაძლებელი უცხო წერა-კითხვის დაწყება.

ანბანსავითვე უცნაურად არის შე- დგენილი პირველი საკითხავი წიგნი, რომელშიაც სხვა-და-სხვა გვარი ვარ- ჯიშობა ერთმანერთში გადარეულია. პრაფითარი პლანი, არაფითა- რი სისტემა აქ არ მოიპოვება, ბეე- რიც რომ ეძებოთ. მართი ვარჯიშო- ბა მეორისათვის არ ამზადებს, მესამე ხელს არ უწყობს მეორესა და სხვ., არც ერთს რუსული ენის ფორმავედ ბავშვს საკმარისად არ აჩერებს და არ აკვირვებს; ერთი საგნიდგან ახტუ- ნებს მეორე საგანზედ, ერთი ვარჯი- შობის ნაგლეჯიდან მეორე ვარჯი- შობის ნაგლეჯზედ გადადის. აქაც ხსენებულს უნიკო რუსის პედაგოგებს თავის კვალში ჩაუთრევიათ და სწო- რე გზა სრულიად დაუკარგინებიათ,



სხვათა შორის სწორად ამ სტრიქონებ-  
სა: «რადგანაც მთხოველმა ესე, იგი,  
ბ. ხ — მა წარმოსთქვა უკადრისი სი-  
ტყუები(?) ამისათვის გავარტყი ორიოდ  
ჯოხნი(?) და ამაზედ მე, მამასახლისს,  
მანაც დამიბირა ხელის შებრუნება და  
მომარტყა კიდევ ორ-ჯერ, ამისათვის  
გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალეობა,  
მიიღოთ მხედველობაში და კანონის  
ძალით მისცეთ პასუხისგებაშია».

ახირებული ლოგიკა ჰქონია ამ  
მამასახლისს: დასჯილი კიდევ დასა-  
ჯოს და უკანონოდ დამსჯილი,  
«ორიოდ ჯოხნის მიმრტყმელი» კი  
ძველებურად პარპაზობდეს!

### რუსეთი

— შეტეობურად იწერებან გაზ.  
«რუსეთის კურსი», რომ იონინი, რო-  
მელიც ესაა ბულგარიაში რუსეთის ელ-  
ჩად, ამ დღეებში მოკვამეტეობურად და  
მოსახლებს, — რა მდგომარეობაშია ბულ-  
გარიის საქმეები და რა გააკეთა თითონ  
მან სოფაშია.

— გემების საზოგადოებას «გაკვას  
და მერკურის» აქამდინ ეძლეოდა მარ-  
თებლობისაგან სუსიდა, რომლის ვადაც  
ამ წავსულს გათავდა. მინანთა მი-  
ნისტრმა წინადადება მისცა რუსეთის ვაჭ-  
რობის და მრეწველობის დამხმარებელ  
და სხვა ამ გავრ საზოგადოებათა, წარ-  
მადგენელ მათ თავანთ სწრა მესახებ  
იმისა, ეძლიოს შემო ნახსენებს საზო-  
გადოებას სუსიდა, თუ არა? ესაა იწე-  
რებან, რომ ამ საქმის თაობაზე შემდ-  
გარს კომისიას დაუსკვნას, რომ საზო-  
გადოებას «გაკვას და მერკურის» უნდა  
ჩამოკრთვას სუსიდა.

ნიმუშად გავსინჯოთ პირველი სამი  
გვერდი. შემადგენელი პირველად  
სთარგმნის ათიოდ სიტყვას ქართუ-  
ლიდგან რუსულად და შემდეგ აღ-  
გენს წარაზებას: წარაზების უხეირობას  
რომ თვალის ავარიდოთ, უხეილიდ  
ჩვენს ყურადღებას მიიქცევს ის გა-  
რემოება, რომ ეს წარაზები იპრო-  
ბენ მრავალ გვარს წარმოს რუსულის  
ენისას. ბავშვი პირველსავე გაკვე-  
თილში შეხედება; დასაბამით სიტ-  
ყვებსაც, სხვა-და-სხვა გვარ ბრუნე-  
ბის დაბოლოებებსაც, არსებითის სა-  
ხელის შეთანხმებასაც ზედ-შესრულ-  
თან, რიცხვით სახელთან, ნაცვალ  
სახელთან, ნათესაურთა დაბოლოე-  
ბათა ზმნის ყველა წარმება და სხვ.  
წარაზების შემდეგ მოჰყავს რუსული  
სიტყვა: **собака**, მრავლობით რიც-  
ხვად აკეთებს და თხოულობს ბავ-  
შეებისაგან, რომ მათ თვრამეტი სხვა  
რუსული სიტყვის მრავლობითი რი-  
ცხვი უთხრან თავის თავად. მა გარ-  
ჯიშობაც ნახსენი აქვს იმავე პუცი-  
კოვიჩისაგან, რომელიც სიტყვებს  
ბეჭდავს ერთს რიცხვზედ და მოსწა-  
ვლეთაგან თხოულობს ყველა ეს სი-  
ტყუები დაყენონ მერე რიცხვზედ.  
თუმცა ამისთანა განმარტობულს  
სიტყუებზედ ვარჯიშობა მოსაწონი

— იწერებან, რომ შესაძობის ღვი-  
ნის მკეთებელი სთხოვენ თურმე სახელ-  
წიფოა ქონებათა მინისტრს, ნება და-  
თოს მათ ამ გუბერნიამა ადგილობრივი  
ღვინის გამოყენის გამართვისა და უკე-  
თეს ღვინის შესრმებულთა დასახუჭრე-  
ბისა,

— ხალხთა განათლების სამინისტროს  
განუზრანავს პირველ-დაწყებით სახალ-  
ხო სასწავლებლებში დასდოს წესად,  
რომ თვითუფს მათგანში თითო მას-  
წავლებელი და 50 შეგირდი იყოს და  
თუ ამასე მკტი იქნება, მაშინ მასწავლე-  
ბელს თანამეძვე დაწინებოს.

— მინანთ სამინისტროს განზრან-  
ვს თურმე აქვს ფოკელ შემოდგომასე  
დაწინებოს განცალკარის ჩინიკებს  
და მოსამსახურეთ ფულთ შემწეობს  
არა უმეტეს 40 მანეთისა და არა ნაკ-  
ლებ 15-სა თბილი ტანისამოსის მო-  
საპოვებლად, რადგანაც მათ მალან ცო-  
ტა ჯამაგირი ეძლევათ.

### უცხოეთი

იმ შეურაცხების შესახებ, რომელიც  
ესპანიის მეფეს მიუყენეს პარიში, შემ-  
დეგი ცნობები მოსულა პარიშიდან: «17  
სექტემბერს პარიშიდან კიდევ ორ-ჯერ  
შეურაცხებულს ესპანიის მეფე: სადამოს  
ქვეს საათზე მეფე მიდიდა უბრალო  
კვიპაჟით პრეზიდენტ გრევისთან და რე-  
დასაც სასახლეს მიუახლოვდა, ერთი ჯგუ-  
ფა ხალხი გაქვან იმისკენ და ჭევირდა:  
«არ გინდა ალქონსი! არ გინდა ულა-  
ნი!» ერთმა დედა-განმა ქოლგა ესროლა  
კვიპაჟს. ლანძღვა-გინება ისმოდა. ერთი  
ესპანელი მივიდა მეფესთან და უთხრა:  
«ხელმწიფე! თქვენ შეურაცხებულს; მე

არ არის, მაგრამ რუსის ბავშვებისა-  
თვის აღვილოდ შესაძლებელია, რად-  
განაც ყოველი სიტყვის მნიშვნელო-  
ბა და რიცხვების დაბოლოება პრაქ-  
ტიკულად მათ კარგად იციან. მაგ-  
რამ ამისთანა ვარჯიშობა ქართველის  
ბავშვებისათვის ძლიერ ძნელია და  
ბევრს დროსაც დააკარგინებს, რად-  
განაც ბავშვებმა არ იციან ხერიანად  
არც სიტყვების მნიშვნელობა და არც  
მათი დაბოლოებანი.

მრავლობითი რიცხვის გაცნობის  
შემდეგ, განმარტობულს სიტყუებზედ  
უნდა მოყვანა მთელი წარაზები და  
ამ რიცხვზედ შეეჩერებინა ყურადღე-  
ბა ბავშვებისა, მაგრამ ბ. აღნიშვი-  
ლი სხვაფრივ მოქცეულა. იმას მო-  
უყვანია რადენიმე რუსული სიტყვა  
ასო გამოკლებული და ითხოვს მო-  
წაფეთაგან თვითონ გაათონ ეს სი-  
ტყუები. შემდეგ სწერს რუსულ ასო-  
ებს არეულად და უბძანებს მოწაფე-  
თა შეადგინონ მათგან სიტყუები  
უწინდებულად. შ და ამისთან იცო-  
დეთ, რომ ამ სამი რიცხის სიტყუების  
შორის არავითარი კავშირი არ არ-  
სებობს; ყოველი რიგი თავისთვის  
არის ეფლური კაციით და არავითარ  
მეზობლობას და შემწეობას არ უჩენს  
ახლო ჩამწერიებულს მეზობლებსა.

მგონია, ხედი თანამეძველეთ სურვილს  
გამოკაცხადებ, რომ მოგასწავლო, მეტს  
შეურაცხებას ნუდარ მიუყენებთ. — «გულ-  
გრილად ვიყენებთ», — მიუგო მეფემ. —  
ამისთანა შემთხვევები არ უნდა გაკაც-  
ვადლოთ, ეს ხალხი არ შეადგენს პარი-  
სს და არც საფრანგეთს. მეფემ შემდეგი  
ტელეგრაფის გაუგზავნა დედუფალს: «ხე-  
მა მოგზაურობამ იქნება დიდ-ხანს ადარ  
გასტანოს იმ შემთხვევების გამო, რომ-  
ელიც მნიშვნელობა არ უნდა გაკაცად-  
დეს». სოგოერთა გაზეთები პირ-და-პირ  
გრევის პარალებს ამ შემთხვევის მოხ-  
დენას, რადგანაც იმან მეფე ალქონსი  
გრემანში მისვლის წინად არ მიიღო.  
რადესაც ალქონსმა განიზრანა გრემ-  
ანში წასვლა, ესპანიის ელჩმა ათის  
დღის წინად აცნობა გრევის, რომ მე-  
ფეს სურს გრემანში წასვლამდინ პა-  
რიში მიიარ-მოიაროს; მაშინ გრევი  
მონ-სუ-გოდრეში იყო და, რადგანაც  
იქამდ არ წამოვიდა, მეფემაც გადასდო  
პარიჟის ნახვა გრემანიდგან უკან დაბ-  
რუნებამდინ. რადგანაც პარიჟის გაზე-  
თებმა ისეთ კილოზე დაიწყეს ლაპარა-  
კი, რომ ეს შეურაცხების მიუყენება მო-  
სადიდებელი იყო, ესპანიის ელჩი შე-  
კითხა მინისტრთა რევის პრეზიდენტს  
ქერის, დაწმუნებულთა ის, რომ მეფე  
არავითარს შეურაცხებას არ მიიღებს  
პარიში? თუ ნამდვილად არ არის  
ამში დაწმუნებული, მაშინ მეფე პა-  
რიზე აღარ გაივლის. ამასე ქერამ  
უპასუხა, რომ ის სრულიად დაწმუნე-  
ბულია, რომ მეფეს პარიში დიხსუ-  
ლად მიიღებენ.

— თუ სადამდის მიუღწევია მინან-  
ტურების სამიშველარს პრესულებსადმი,  
ეს იქამდ სხანს, რომ საფრანგეთში  
ბუკნს სამრეწველო ქარხანების პარტო-  
ნებს პირობა დაუდვით ნემეტები აღარ

მასუკან ათანხმებს განმარტობულს  
ზედ-შესრულს სახელს სახელ არსე-  
ბითთან და უბძანებს იმავე ბედკრულს  
ბავშვებს სხვა ოც-და-ორი სიტყვა  
თავის-თავად შეათანხმონ. მაგრამ შე-  
თანხმების მაგიერ უთანხმობა გამო-  
ვა ყოველ ნაბიჯზედა. მასწავლებელი  
ეუბნება: **стѣна бѣлая**, და ჰკითხავს  
**столь? окно?** ბავშვი, რომელსაც  
ჯერედ შეგნებული არა აქვს სქესუ-  
რი დაბოლოებანი, რომელთაც  
მოკლებულია ქართული ენა, უთუოდ  
იტყვის: **столь бѣлая, окно бѣлая**.  
წადით და ჰკარგეთ დრო ამ შეცლო-  
მების გასასწორებლად, აწვალეთ თქვე-  
ნი თავი და კიდევ უმეტესად ბავშვე-  
ბი. ამისთანა შედეგი მოსდევს ყო-  
ველთვის, როდესაც კაცი თვალ-ახ-  
ვეული აწყება იმისთანა წყალ-წალე-  
ბულს პედაგოგებსა, როგორც არის  
პუტიკოვიჩი, რომელსაც პედაგოგია-  
ში ისეთივე ადგილი უჭირავს, რო-  
გორც ტრედნიკოვსკის პოეზიაში...  
რადენიმე ამისთანა ვარჯიშობის შემ-  
დეგ, ბ. აღნიშვილის საკითხავად მოჰ-  
ყავს რადენიმე რუსული ანდაზა და  
გამოცანა, რომელთაც კავშირი სრუ-  
ლიად არა აქვთ წინა ვარჯიშობას-  
თანა და რომელთაც რუსული ილიო-  
ტიზმები ძნელს გასაგებად ჰხდინ

მიიღოს სამსახურში, დაქვემდებარებულნი  
იყუ იქ, იმათაც უკვე იმის შესახებ  
გულისთვის დაუთხოვიათ სამსახურადმი  
ელსახლებიც, რომელნიც საფრანგეთის  
თანაგრძნობას არ იხევენ. მიხედა ნემ-  
ეტების ამ გვარი მძაურობისა, ერთი გა-  
ზეთია, რომელსაც სახელად «პრესი-  
უების წინააღმდეგ» ეწოდება. ეს გაზე-  
თი კვირაში ორჯერ გამოდის და ერთს  
განყოფილებაში სულ ნემეტების წინააღ-  
მდეგ მიმართულ წერილებსა ჰბეჭდავს;  
მაგალითებ, ერთს უგანასკნელს ნომერ-  
ში უოფილას დაბეჭდილი შემდეგი კითხ-  
ვები: «უხელოება ხომ არ იქნება კვით-  
ხით ნიუ-იორკის კომისიონერს ბერ-  
გენს და კომპანიას, 2 იუსეს ქუჩა, პა-  
რიში? პრესიული ხომ არ არის მისი  
მეკასე გოქმინი? მისი ანგარიშის მწარ-  
მოკლებელი ნემეაიერი შპრეს ნაპირებზე  
ხომ არ დაბადებულა? როდის დაითხრეს  
რეპინდას ქარხანა მრავალრიცხოვანს  
ტექტონის ფილავს, რომელიც იქ მე-  
შაობს? მართალია — ვითომც ვარემ-ბერის  
სახლში მსახურებდეს პრესიის ქვეშე-  
დომი მანტელი ადამი? მართალია, ვი-  
თომც მებრლიანტეს ბლახს უფრეს-  
სა, დრუოს ქუჩაში, კესი კაცი ჰყავს  
და ამ რიცხვში ოთხი ნემეტია?» და  
სხვა-და-სხვა.

— პარიშიდგან იწერებან, რომ საფ-  
რანგეთს და ჩინეთს ჯერ კიდევ ცუდი  
დამოკიდებულება აქვს ერთმანეთში.  
ქენგი და საზოგადოთ ჩინეთის დი-  
ლომატიას აკვანებს მოლაპარაკებას. იმ  
ამდით, რომ, რადესაც შალატები შეი-  
გობებან, ესლანდელი სამინისტრო სამ-  
სახურს თავს დახანებებს და შალატებიც  
თავის მხრივ მოსპობენ ტონკინში დაწ-  
ყებულს საქმებს და მოქმედებს; მაგრამ  
ქერის სამინისტრო სრულიად არ  
ფიქრობს სამსახურის თავის დახანებას

ჩინის ბავშვებისათვის. მთელი წიგნი  
შესდგება ამ გვარის უკავშირო და  
მოუაზრობელ ვარჯიშობათაგან. პე-  
დაგოგიური ხერხების და მოსაზრების  
მაგიერად, ყოველ ნაბიჯზედ შეხედე-  
ბით რაღაც წერილმანს, გამაბზრე-  
ბელს და მავნებელს ნაცარ-ქექიო-  
ბას.

მოთხრობები შინაარსით უწონობია  
ბავშვებისათვის, რადგანაც რუსულის  
წიგნებიდან ამოულია და არა ქართუ-  
ლის წიგნებიდან ქართულის წიგნე-  
ბიდან უთარგმნია. მართულიდგან  
თარგმანი რუსულს ენაზედ უარ-ყო-  
ფილია და ქართული ტექსტი წიგნი  
თითქმის არ მოიხრევა. მხოლოდ  
ბოლოში თვალის მოსატყუებლად,  
სწორედ ოც-და-ექვსი სტრიქონია  
სხვა-და-სხვა ადგილას დაბეჭდილი.  
რუსულის ენის მხრივ წიგნი ბევ-  
რი შეცდომილია. თუ თვითონ არ  
იცოდა საკმაოდ ენა, მცოდნე ვისმის  
მანაც ვასწორებინებდა.  
საიდგანაც უნდა გასინჯოთ საქმე,  
«პირველი ნაბიჯი» ყოველის მხრი-  
დან გამოვა უკუღმართი მოვლენა,  
რომელსაც შეუძლიან ენება შეგ-  
ვდენას, რადგანაც ერთს გვარს ინ-  
სტინქტებს ერთ-გულად უკმევეს.

და ჰგზავნის ვიდრე ტონებისა ჯარებს, სადაც «შავს დროშებზე» ერთხანად დატყუდის ფიქრობენ. სამინისტრო ვადრემდის არ მორჩება თავის საქმეებს წითელი მდინარის დელტაში, ვადრემდის არ დაამშვიდებს ამ მხარეს, არ დაიწყებს ჩინეთის მმართველობასთან მოლაპარაკებებსა და ვიდრე ვადრემდის არ უნდა შავკრან ერთმანეთს ეს ორი სასულემწიფო.

საფრანგეთის პალატის პრეზიდენტის ბ. ბრისონის ორგანი «სიკელო» გლადსტონის და რუსეთის იმპერატორის ვოპენჭაგენში ერთმანეთის ნახვის შესახებ ამბობს შემდეგს: «გლადსტონი თავისი რელიგიური იდეებით მეგობარია რუსეთისა; ბისმარკს, უგუნიას, ის დღე მთელია, რა დღეც დადგას ავსტრიას შენიღბულ საუკუნეში და ნაპოლეონ ვირველს მერსრამეტე საუკუნის დასაწყისში. ვითომ და მშვიდობიანობის დასაფარავად, იმან შეადგინა შუა ევროპაში გავშირი, საშინელი ძალა, რომელიც თავით მშვიდობიანობას ემუქრება. ხუთი სასულემწიფო, იმიტომ რომ დაიკვან თავიანთ თავი, გავშირდებიან ერთად ერთის წინააღმდეგ და ფიქრობენ ამით ქვეყნს დაამშვიდონ ვისაც მშვიდობიანობის სურვილი აქვს, ის არ აძლიერებს ჯარებს, ის არ ისურვის ისეთს დადს და აძვირებით სავსე სიტუაციებს, როგორც ჩხილი. გერმანიის გაზეთი», ის არ აქვეყნებს გარდაკეთებულ ევროპის რუკას, რომელიც გლადსტონი და საფრანგული შვერტებუა ავსტრიასთან, ვარშავა, მიტავა და რიგა გერმანიასთან და ზღვის ნაპირზე მდებარე ადგილები და გორაკები იტალიასთან. ჭრანჭურჭრის შირობის შეკრამდინ, გერმანიას მტერი არ ჰგვანდა ევროპაში. ელზას-ლოტრინის წართევამ ძალა გი არ მოუმატა მას, მისი დაუძინებელი მტრობა ჩაუნგრება საფრანგეთს. ბერლინის ტრაქტატმა, რომელიც ერთის კალმის მოსმით შემუსრა უფლებივე ის, რაცა ქმნა ბაღკანში გურგოს და სვობლევის ხმამა, აღუძრა რუსეთს ძველი სიმძულვარე გერმანიისადმი და ამავე დროს გაუღვიძა იმედი დანიის პატარა ხალხს. ბისმარკმა თუმცა ტოტა გვიან, მაგრამ მანც გი შეიგნო თავისი პოლიტიკის საშიშროება; ის გრძნობს, რომ გერმანია გარემოცულია მტრებით, რომელნიც გავშირს არავისთან საჭიროებენ, რადგანაც მისგან მიღებული წყლულები უფრო მტკიცეთ შეკრებებს მთ ერთად, ვიდრე რომელიმე პოლიტიკოსთა და მეფეთ ურთიერთ შორის შირობის შეკრულობა. ამისათვის ბისმარკის საზრუნველი ისდა არის, რომ შეადგინოს გავშირი შუა ევროპაში. მაგრამ რა გამოვიდა: ნაპოლეონ ვირველი 1812 წელს იმეფი იყო, იმას ბუკრი მოკავშირეც ჰგვანდა; ესპანია, ნეპალი, საქსონია და ბავარია სულ იმასთან იყვნენ შეკავშირებულნი, მაგრამ რა უშველას მას ამ გავშირმა 1814 წელს? უგუნიას, ვოპენჭაგენში რუსეთის იმპერატორის და ინგლისის ვირველი მინისტრის ერთმანეთის ნახვა გვიმტკიცებს, რომ მთელი ევროპა საზოგადოდ

შეაფიქრინა გერმანიის პარლამენტში და პოლიტიკამ. თუმცა გავშირი გერმანიის საწინააღმდეგოდ არ არსებობს, მაგრამ ეს გი ნამდვილია, რომ რუსეთი, ინგლისი და სვანდინავიის სასულემწიფონი დაუსლავდენ ერთმანეთს ევროპის თანასწორობის დასაცვლად. არ არსებობს გავშირი საწინააღმდეგოდ, იმიტომ რომ ის ესდა საჭირო არ არის. ისინი, ვინც გრძნობენ საჭიროებას შეკრებულის ძალით დაიკვან თავის თავი საზოგადო მტრისგან, არ საჭიროებენ ერთმანეთში დაწვირილ შირობის შეკრას».

**განსხვავებული**

მუთისის თავად-ახნაურთ საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი, ამ ბანკის წესდების მე 79 § ძალით, ბბ. ბანკის წევრთა საცნობე-ლად აცხადებს, რომ მომავლის ოქტომბრის თვის 23 რიცხვსა იქმნება უებრო საზოგადო კრება ხსენებულთა წევრთა მ. მუთისის, ბანკის გამგეობის სადგომზე, კრების განსახილველი საგანია დანიშნვა პირისა, რომელმაც ბანკის დამფუძნებლის ახნაურობის სახელობაზე უნდა დაამტკიცებინოს მამული კენინა მლიონორა მინაილის ასულის გურიელისა, მდებარე პირველს საბრისტაფოში მ. მუთისისა, იმ მიზნით, რომ ამ მამულში აშენებულ იქმნეს სადგომი ალექსანდრეს სააზნაურო სასწავლებლისა. (1—1)

ოპერატორს, მელინიის დოქტორს

**ქიუზარინსს**

აქვს ბადის ქუჩაზედ (Садовая ул.) განსაკუთრებული სამუდამო სადგური ავად-მყოფებისათვის, რომელთაც სიჭილისი სჭირთ, ან შარდისა და საშვილოსნო ორგანოები სტკივანთ, ან კიდევ ხირურგიული ოპერაციები ეჭირვებთ. (14—3)

**დავით კაყალი**

აწარმოებს ვეულა ნაირ საქმეებს, განსაკუთრებით სას.სხლო სამართალში.

საპორის ქუჩა, ზაბოლოცკის სახლი. (10—5)

გერძო საქმეების ვეილი 3. მ. ალბედინსკი  
გადავიდა სალოლაკის ქუჩაზედ, სპანდარიანცის სახლში, № 42, საადგილ-მამულო ბანკის პირ-და-პირ. (10—3)

**ქართული გრამატიკა**

დოქ. ივ. ყიფიანისა  
ისყიდება თბილისის ცენტრალურს წიგნების მაღაზიაში, მუთისში მძათ შილაძეებთან თითო 1 მან. 20 კაპ. ჩვეულებრივს და 1 მ. 50 კ. ველენის ქალაღზედ. (3—3)

ქართული  
ბიზნისი

**სახლი რამ**

**ცვის წყალი**

განსაკუთრებით სასარგებლოა იმბთ-თვის, ვინც კულს იტვივებენ; მოეველს ოთახში ავრცელებს ბალზამის სუნს ფიჭვის ტყისას.

ეს წყალი ეკუთვნის მარტო ვარშავის მიმიურ ლაბორატორიას. შასი ფლაკონისა 1 მ. 50 კ., 1/2 ფლაკონისა 1 მ., 1/4 ფლაკონისა 40 კ.

შმათარესი დეპო ვარშავაში  
С-то Ерекая ул. № 12. (3—1)

საგლობუსო კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ნიკოლის მაღაზია. იქვეა აწარმოებული სხვა-და-სხვა გვარის კალმები, უფლები „სელისათვის“—25%, იაფად, ვინც სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, განვერტები, რეულები, ჯაჭი, კანანდაში, პენალი, კალმები, ბუმაყინიკები, შარტო, სივარები, ალბომები, რამები, მავრატლები, სამართებლები, სახთელი, საფასი, რანაშები ჭურჭლების საწმელად (ბორაკის), თეთრულისათვის, პატარა ხალხი, ატაკისათვის კლიონები, ტანტები, სავარდლები, სარკები, სავარცხლები, ბუსმე, ნი, ზარები, ბინოკლები რეულები, ვატერპასები, მის-სასთები, გომპასები, ტერმომეტრები, მეწებები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, შომონი, ქამრები, სარტულები, საყუფური, შრობები, სავრობები, კრანები, ფილტრები, შოტკები, თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტისა მავინტოშები, ვარგები, სავკიპი ქაღალდი ვატერ-გლობუსისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშპი—20 მ. (100—90)

**მავანდა**

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე 1883 წ.

გამომცხარი ზური რუსეთის ფქვილისა — 1 გირ. 5 კ.  
აჭაურის ფქვილისა: შირ-ველის ხარისხისა — 1 გ. 2 1/2  
მეორისა — 1 გ. 2 კ.  
ამავე ფქვილ. თორნიში გამომცხარი:  
პირველის ხარისხისა — 1 გ. 5 კ.  
მეორისა — 1 გ. 3 კ.  
მესამისა — 1 გ. 2 1/2

ჯვარის-მამის ზური:  
პირველის ხარის. ლავში 1 გ. 5 კ.  
მეორის ხარის. ლავში 1 გ. 3 კ.  
მესამისა — 1 გ. 2 1/2

ძროხის ხორცი:  
პირველის ხარისხისა — 1 გ. 8 კ.  
მეორისა — 1 გ. 7 კ.  
სუვი . . . — 1 გ. 15 კ.  
ცხურის ხორცი — 1 გ. 8 კ.

**რკინის გზა**

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.

თბილისიდან საშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა.

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.

ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.

ფოთიდან ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.